N188 2015 წლის 27 აპრილი ქ. თბილისი

„საზღვარგარეთ საქართველოს დიპლომატიური წარმომადგენლობების ნუსხის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 5 დეკემბრის №315 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი 1. „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, „საზღვარგარეთ საქართველოს დიპლომატიური წარმომადგენლობების ნუსხის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 5 დეკემბრის №315 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge, 06/12/2013, 480040030.10.003.017482) შეტანილ იქნეს ცვლილება და დადგენილებით დამტკიცებული იმ ქვეყნების ნუსხაში, რომლებშიც აკრედიტებულია საქართველოს დიპლომატიური წარმომადგენლობები (დანართი №2) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილებები:

1. მე-17 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„17. საქართველოს საელჩო ქუვეითის სახელმწიფოში აკრედიტებულია არაბთა გაერთიანებულ საამიროებში.“.

2. 29-ე პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„29. საქართველოს საელჩო საუდის არაბეთის სამეფოში აკრედიტებულია ომანის სასულთნოსა და ბაჰრეინის სამეფოში.“.

3. 30-ე პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„30. საქართველოს საელჩო მალაიზიაში აკრედიტებულია მიანმარის კავშირის რესპუბლიკასა და ლაოსის სახალხო დემოკრატიულ რესპუბლიკაში.“.

მუხლი 2. დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

პრემიერ-მინისტრი **ირაკლი ღარიბაშვილი**